



კურსის მიმოხილვა ე-9 კლასი

წყარო: Reimers, F. (2017). "მოსწავლეების გაძლიერება და მოტივირება სამყაროს უკეთესობისკენ შესაცვლელად 60 გაკვეთილში". 1-ლი გამოცემა. საგამომცემლო პლატფორმა *Createspace Independent*.

საავტორო უფლება: © 2017 Fernando M. Reimers. ნაშრომის ლიცენზია - Creative Commons Attribution 4.0 International License. ლიცენზიის ასლის ნახვა შესაძლებელია ბმულზე: <https://creativecommons.org/licenses/by/4.0/> ყველა უფლება დაცულია.

შენიშვნა: ყველა კომპონენტი გამოქვეყნდა გლობალური სკოლების პროგრამისგან დამოუკიდებლად.



მიმოხილვა	
სწავლის მიზანი	
<p>ე-9 კლასში მოსწავლეები განიხილავენ ქალთა უფლებებსა და გენდერულ თანასწორობასთან დაკავშირებულ თემებს ლიტერატურის საშუალებით. ქალთა ლიტერატურული პორტრეტების გამოყენებით მოსწავლეები გამოიკვლევენ გენდერულ უთანასწორობას, რომელიც არსებობს ლოკალური, ეროვნული და მსოფლიო მასშტაბით. ბოლოს მოსწავლეები შეიმუშავენ, განახორციელებენ და წარადგენენ პროექტს შექმნილ ცოდნაზე დაყრდნობით.</p>	
გაკვეთილის შაბლონი	
გაკვეთილი 1	ლიტერატურაში ძიება: როგორ არიან ქალები წარმოდგენილნი გლობალურ კონტექსტში?
გაკვეთილი 2	ლიტერატურის ანალიზი: როგორ არიან ქალები წარმოდგენილნი თავიანთ თემში?
გაკვეთილი 3	სწავლა ლიტერატურიდან: ქალების ახლანდელი რეალობა საზოგადოებაში
გაკვეთილი 4	პროექტის შემუშავება გენდერული უთანასწორობების აღმოსაფხვრელად
გაკვეთილი 5	პროექტის იმპლემენტაცია
სწავლის მიზნები	
<ul style="list-style-type: none"> • მოსწავლეები გაივაჯიშებენ კრიტიკული კითხვის უნარს ლიტერატურის დახმარებით სოციალური პრობლემების შესწავლისას. • მოსწავლეები მნიშვნელოვან ცოდნას მიიღებენ ლიტერატურული ნაწარმოებებიდან და მიუსადაგებენ მას თავიანთ ცხოვრებას. • მოსწავლეები შეიმუშავენ და განახორციელებენ დამოუკიდებელ პროექტს ნასწავლზე დაყრდნობით. 	



მე-9 კლასი, გაკვეთილი 1

“ქალთა უფლებების მოძრაობები: ჩალრმავება ლიტერატურაში”

დროის ხანგრძლივობა: 60 წუთი

თემები: სოციალური სწავლებები, სამოქალაქო განათლება, ისტორია

სტანდარტები: გენდერული თანასწორობა და ქალებისა და გოგონების გაძლიერება (მიზანი 5); შემცირებული უთანასწორობები (მიზანი 10); მშვიდობა, სამართლიანობა და ძლიერი ინსტიტუტები (მიზანი 16)

შეიმუშავა: Matt Owens

შეჯამება და დასაბუთება: მოსწავლეების უზრუნველყოფა სოციალური და ისტორიული ჩარჩოთი, როგორც საფუძველით მომავალი გაკვეთილებისთვის, რომელთა განმავლობაშიც ისინი გაეცნობიან გენდერულ უთანასწორობას და ქალთა უფლებების მოძრაობებს მოთხრობებისა და ლექსების საშუალებით.

სასწავლო მიზნები:

- მოსწავლეები უფრო მეტად დააფასებენ ქალთა უფლებების მოძრაობებს ისტორიის განმავლობაში და ჩამოუყალიბდებთ კონტექსტი, რომლის საშუალებითაც შესაძლებელი იქნება მომავალ გაკვეთილებზე ლიტერატურის წაკითხვა.
- მოსწავლეები შექმნიან საფუძველს, რომელიც მათ მისცემს მოთხრობის ან ლექსის კრიტიკული თვალთვალის საშუალებას.

გაცნობიერების მიზნები:

- ქალთა უფლებების მოძრაობებს აქვს ძლიერი და რეზონანსული ისტორია და ასევე რეზონანსული არსებობა დღესდღეობით საერთაშორისო საზოგადოებაში.
- ქალთა უფლებების მოძრაობები მთელი მსოფლიოდან დაუღალავად იღვწოდა იმ უთანასწორობების გამოსაშკარავებლად და აღმოსაფხვრელად, რომლებიც არსებობდა და დღემდე არსებობს საზოგადოებებში.

მნიშვნელოვანი კითხვები:

- რა უთანასწორობებს გადააწყდნენ ქალები ისტორიის განმავლობაში და კვლავ აწყდებიან დღევანდელობაში?



- როგორ უზრუნველყავით ქალებმა და ქალთა უფლებების მოძრაობებმა ამ უთანასწორობებს ისტორიის განმავლობაში?
- რა ძირითადმა სოციალურმა და ისტორიულმა ძალებმა განაპირობა ქალთა უფლებების მოძრაობების აღმავლობა?
- როგორ შეიძლება ლიტერატურა გახდეს შესაფერისი ობიექტივი, რომლის საშუალებითაც შეიძლება ქალთა უფლებების შესწავლა?

სწავლების მიზნები (მოსწავლეებს შეეძლება):

- მნიშვნელოვან დისკუსიაში ჩართვა ქალთა უფლებების მოძრაობების როლზე გენდერული უთანასწორობების აღმოფხვრაში.
- კრიტიკული ჩარჩოს ჩამოყალიბება იმ ლიტერატურასთან კავშირის დასამყარებლად, რომელსაც გაეცნობიან მომავალ გაკვეთილებზე.

შეფასება: კლასის დისკუსია

აქტივობათა თანმიმდევრობა:

- **შესავალი (10 წუთი):** მასწავლებელი მოკლედ განიხილავს ქალთა უფლებების მოძრაობებს ისტორიულად და დღევანდელ დღეს (შესაბამისი მოძრაობების მაგალითების მოყვანით მთელი მსოფლიოდან).
- **პირველადი წყაროების კითხვა (20 წუთი):** მასწავლებელი ყოფს მოსწავლეებს მცირე ჯგუფებად და არიგებს პირველადი წყაროს დოკუმენტებს. მოსწავლეები პირველი 10 წუთის განმავლობაში კითხულობენ თავიანთ დოკუმენტს ჩუმად. ემდეგ ისინი ჯგუფში მსჯელობენ მასწავლებლის მიერ დასმულ კითხვებზე. ა უთანასწორობებს ან დაძაბულობას ამჩნევენ მოსწავლეები? როგორ შეიძლება მათი მოგვარება?
- **ლასის დისკუსია (20 წუთი):** მოსწავლეები კვლავ იკრიბებიან ერთიან კლასად და მსჯელობენ სხვადასხვა ნაშრომზე, საერთო თემებსა და კულტურულ განსხვავებებზე. მასწავლებელს შეუძლია ჯგუფების გადანაცობა ისე, რომ მოსწავლეებმა შეძლონ მათთვის დარიგებული ნაშრომის განხილვა იმ ბავშვებთან, რომელთაც დაურიდდათ განსხვავებული ნაშრომი.
- **ლიტერატურა (10 წუთი):** მასწავლებელი წარადგენს სხვადასხვა ტექსტს, რომელთა წაკითხვაც შეუძლიათ მოსწავლეებს ლიტერატურის ანალიზისთვის. მოსწავლეებს შეუძლიათ თავად აირჩიონ შემდეგი გაკვეთილისთვის წასაკითხი ტექსტი.

რესურსები მოსწავლეებისთვის:

- პირველადი წყაროები ქალთა ისტორიისთვის: <http://tiny.cc/G9L1R1>



Global Schools Program

რესურსები მასწავლებლებისთვის:

- მნიშვნელოვანი თარიღები ქალთა საერთაშორისო ისტორიაში: <http://tiny.cc/G9L1R2>
- გაეროს ქალთა ორგანიზაცია: <http://tiny.cc/G9L1R3>



მე-9 კლასი, გაკვეთილი 2

“ლიტერატურის ანალიზი: როგორ არიან ქალები წარმოდგენილნი თავიანთ თემში?”

დროის ხანგრძლივობა: 50 წუთი

თემები: სოციალური სწავლებები, ლიტერატურა

სტანდარტები : გენდერული თანასწორობა და ქალებისა და გოგონების გაძლიერება (მიზანი 5)

ეიმუშავა: Cassie Fuenmayor

შეჯამება და დასაბუთება: ამ გაკვეთილის მიზანი იქნება იმ ლიტერატურული ნაწარმოების ანალიზი, რომელიც მოსწავლეებმა აირჩიეს პირველ გაკვეთილზე. ისინი ფგუფურად გააანალიზებენ ქალთა წარმოდგენის გზებს ლიტერატურაში, ასევე ლიტერატურის იმ ასპექტებს, რომლებიც აყალიბებს/ხელს უწყობს ამ წარმომადგენლობას.

სასწავლო მიზნები:

- სტუდენტები განივითარებენ კულტურული მრავალფეროვნების დაფასებას, ცნობისმოყვარეობასა და პატივისცემას.
- მოსწავლეები ივარჯიშებენ კრიტიკული აზროვნებისა და ანალიზის უნარებზე პოეზიის/ნოველების/მოთხრობების განხილვისას.

გაცნობიერების მიზნები:

- აფასების, ცნობისმოყვარეობისა და პატივისცემის განვითარება კულტურული მრავალფეროვნებისა და მსოფლიო კულტურისადმი, როგორც თვითრეფლექსიის, იდენტურობის ფორმირებისა და ადამიანების ინტერაქციის მიმართ ემპათიური მიდგომის საფუძველისადმი.
- სოფლიო ისტორიაში, გეოგრაფიასა და კულტურაში მყარი საფუძველის ჩამოყალიბება და მსოფლიო ლიტერატურის შესწავლა.
- რსებული ძალაუფლების სტრუქტურების ეჭვქვეშ დაყენება და მათი ადგილის ცოდნა კონკრეტულ მსოფლიო კონტექსტში.
- აკუთარი და სხვების იდენტობისა და წარმომავლობის გაცნობიერება; გააზრება იმისა, თუ როგორ აყალიბებს კულტურა იდენტობას; საკუთარი ადგილის გააზრება დროსა და სივრცეში.
- ულტურული ცრურწმენების ამოცნობა და მათი ეფექტის შემცირების შეძლება.
- გააზრება იმისა, თუ როგორ იქმნება ღირებულებები კულტურის, რელიგიისა და გამოცდილების საშუალებით.
- აცნობიერება იმ გზებისა, რომელთა საშუალებითაც ლიტერატურა შეიძლება ერთდროულად ზუსტად და არაზუსტად წარმოაჩინდეს სოციალურ და კულტურულ რეალობებს.

ნიშვნელოვანი კითხვები:



- ოგორ არიან ქალები წარმოდგენილნი შენს მიერ ნაკითხულ ნაწარმოებში?
- ოგორ თავსდება ის ლიტერატურის ან ავტორის კონტექსტში?
- ას გვიჩვენებს ქალების ასეთი წარმომადგენლობა სხვადასხვა კულტურის შესახებ?
- ხედავთ თუ არა უთანასწორობებს ან ძალაუფლების დისბალანსს ამ ლიტერატურაში?

სწავლების მიზნები (მოსწავლეებს შეეძლება):

- აკვეთილის დასრულება იმის გაცნობიერებით, თუ როგორ არიან ქალები წარმოდგენილნი ნაკითხული ლიტერატურის კონტექსტში.
- დაფიქრება იმ გზებზე, რომელთა საშუალებითაც ლიტერატურა შეიძლება ერთდროულად ზუსტად და არა ზუსტად წარმოაჩინდეს კულტურულ რეალობებს.

შეფასება: მასწავლებელს შეუძლია ჯგუფური დისკუსიების მონიტორინგი.

ქტივობათა თანმიმდევრობა:

- **ანალი 1 (25 წუთი):** მოსწავლეები მცირე ჯგუფებში განიხილავენ თავიანთ არჩეულ ტექსტს:
 - ა იცით კონტექსტის/ავტორის შესახებ?
 - ოგორ არიან ქალები წარმოდგენილნი შენ მიერ ნაკითხულ ნაწარმოებში?
 - ოგორ თავსდება ეს წარმომადგენლობა ავტორის ან ლიტერატურის კონტექსტში?
 - ას გვიჩვენებს ქალების ასეთი წარმომადგენლობა სხვადასხვა კულტურის შესახებ?
 - ვხედავთ თუ არა უთანასწორობებს ან ძალაუფლების დისბალანსს ამ ლიტერატურაში?
 - ოგორ ფიქრობ, არის თუ არა ასეთი წარმომადგენლობა კონტექსტისთვის ზუსტი და შესაბამისი?
- **ნაწილი 2 (25 წუთი):** მოსწავლეები სხვა ჯგუფებს გაუზიარებენ ნაკითხულ ნაწარმოებს და მის ანალიზს. ოცა ყველა დაასრულებს, მოსწავლეები უპასუხებენ შემდეგ კითხვებს:
 - ედავთ რაიმე მსგავსებებს/განსხვავებებს ქალთა წარმოდგენის გზებში?
 - ოგორ კონტექსტში არიან ქალები წარმოდგენილნი? ადებით თუ უარყოფით?



მე-9 კლასი, გაკვეთილი 3

“ლიტერატურიდან კავშირის დამყარება ახლანდელ რეალობასთან: ქალები ჩვენს თემში”

დროის ხანგრძლივობა: 50-60 წუთი

თემები: ლიტერატურა, სოციალური სწავლებები

სტანდარტები: გენდერული თანასწორობა და ქალებისა და გოგონების გაძლიერება (მიზანი 5); შემცირებული უთანასწორობები (მიზანი 10); მშვიდობა, სამართლიანობა და ძლიერი ინსტიტუტები (მიზანი 16)

შეიმუშავა: Heather Kesselman

შეჯამება და დასაბუთება: მოსწავლეები დაამყარებენ კავშირებს ლიტერატურაში ქალთა გაძლიერების თემასა და ქალთა როლს შორის თავიანთ ცხოვრებასა და საზოგადოებაში. ეს მნიშვნელოვანია სპეციფიკურ კონტექსტში გენდერული თანასწორობის კონცეფციის პერსონალიზებისთვის.

სასწავლო მიზანი: მოსწავლეები დაამყარებენ კავშირს ახლანდელ რეალობასთან თავიანთ თემში.

გაცნობიერების მიზნები:

- ლიტერატურა შეიძლება ასახავდეს რეალურ ცხოვრებას და სოციალურ უთანასწორობებს ჩვენს სამყაროში.
- ქალების როლი საზოგადოებაში არის კომპლექსური და არსებითად უთანასწორო.

მნიშვნელოვანი კითხვები:

- როგორ არის საზოგადოებაში ხილვადი ან უხილავი ის გზები, რომელთა საშუალებითაც ქალები წარმოდგენილი არიან ლიტერატურაში?
- როგორ ექცევიან ქალებს უსამართლოდ შენს საზოგადოებაში?
- რომლებია ძირითადი ძალაუფლების სტრუქტურები და კულტურული ღირებულებები, რომლებიც განსაზღვრავს ქალების მოპყრობას შენს საზოგადოებაში?

სწავლების მიზნები (მოსწავლეებს შეეძლებათ):

- თავიანთ თემში გენდერული უთანასწორობების ანალიზი.
- ლიტერატურაში ქალთა სხვადასხვა როლებს შორის მსგავსებებისა და განსხვავებების აღწერა.

შეფასება: მინი პოსტერი და საბოლოო რეფლექსია/ანალიზი

აქტივობათა თანმიმდევრობა:



- **თავისუფალი წერა (5 წუთი):** მოსწავლეები წერილობით აღწერენ გამორჩეულ ქალს თავიანთი ცხოვრებიდან ან თემიდან. რა ძალა აქვს მას? რა წინააღმდეგობებს უმკლავდება ის? რა სოციალური თუ კულტურული მოლოდინები აფერხებს ან აძლიერებს მას? რა არჩევანის გაკეთება შეუძლია მას და რა არჩევანი კეთდება მისთვის/მის მაგივრად? რამდენად განსხვავებული იქნებოდა მისი ცხოვრება და შესაძლებლობები, ის რომ მამაკაცი ყოფილიყო?
- **წყვილებში გაზიარება (5 წუთი):** მოსწავლეები მენწყვილეს უზიარებენ არჩეული ქალის ამბავს და მსჯელობენ კითხვაზე: “რა გავლენა აქვს გენდერს მის შესაძლებლობებზე, არჩევანსა და მიზნებზე?”
- **კლასში გაზიარება (5 წუთი):** 2-3 მოსწავლე უზიარებს კლასს იმას, რაც მენწყვილესთან ერთად განიხილეს.
- **ლიტერატურის ანალიზი (20 წუთი):** წყვილებში მოსწავლეები მოაგროვებენ სულ მცირე 5 ციტატის ან ანეკდოტის მაგალითს ლიტერატურიდან, რომლებიც გამოხატავს ქალების მოპყრობას ნაწარმოებში და ჩაიწერენ მათ თითოეული მაგალითის გასწვრივ შესაბამისი ანალიზით. ეს შეიძლება გაკეთდეს ორსვეტიანი კორნელის ჩანაწერებით (Cornell Notes), მასწავლებლის მიერ არჩეული გრაფიკული ორგანიზატორით ან ორგანიზებული ცხრილით მოსწავლეების რვეულებში.
- **აღმოჩენების გაზიარება (3 წუთი):** მოსწავლეები უზიარებენ ნაპოვნ მაგალითებს საერთო აღმოჩენებისა და განსხვავებების შედარებით. ეს დაეხმარება მოსწავლეებს სრულყოფილი სახე მისცენ თავიანთ ანალიზს.
- **ვიზუალის შექმნა (10 წუთი):** მოსწავლეები ააგენებ ვენის დიაგრამას ან სხვა რაიმე ინფოგრაფიკს ქალთა როლების შედარებისთვის ლიტერატურასა და თავიანთ საზოგადოებაში.
- **რეზენტაცია (3 წუთი):** მოსწავლეები ოთახში დადიან და აკვირდებიან კლასელების მიერ ამოცნობილ საერთო თემებს.
- **საბოლოო ანალიზი/რეფლექსია (8 წუთი):** მოსწავლეები რვეულებში უპასუხებენ შემდეგ კითხვას: “რა მსგავსება-განსხვავებების დანახვა შეიძლება ქალების როლში ლიტერატურასა და საზოგადოებაში?”

რესურსები მასწავლებლებისთვის:



Global Schools Program

- ვენის დიაგრამის სამუშაო ფურცელი:
<https://www.studenthandouts.com/graphic-organizers/relationships/blank-venn-diagram-printables-with-instructions.html>



ე-9 კლასი, გაკვეთილი 4

“პროექტის შემუშავება გენდერული უთანასწორობების აღმოსაფხვრელად”

როის ხანგრძლივობა: 50-120 წუთი

თემები: ლიტერატურა, სოციალური სწავლებები

სტანდარტები: გენდერული თანასწორობა და ქალებისა და გოგონების გაძლიერება (მიზანი 5); შემცირებული უთანასწორობები (მიზანი 10); მშვიდობა, სამართლიანობა და ძლიერი ინსტიტუტები (მიზანი 16)

შემუშავა: Christian Bautista

ეჯამება და დასაბუთება: ამ გაკვეთილზე მოსწავლეები ქმნიან ხელოვნების ნიმუშს, რომელიც ასახავს მათს თემში არსებულ ნებისმიერ გენდერულ უთანასწორობას. ს ხელოვნების ნიმუში შეიძლება იყოს მოთხრობა, ლექსი, ნახატი, სკულპტურა, სიმღერა, კომპოზიცია და ა.შ. ეს გაკვეთილი შეიძლება დაიგეგმოს სახვითი ან საშემსრულებლო ხელოვნების მასწავლებელთან თანამშრომლობით.

ასწავლო მიზნები: მოსწავლეები თავიანთ კრეატიულობას მოარგებენ სოციალურ პრობლემას თავიანთ ცხოვრებაში/თემში იმ გზით, რომელიც შეკრავს ერთიანობაში მათ ნამუშევარს წინა გაკვეთილებზე და კლასის მიღმა დაინტერესებულ პირებსაც მისცემს ჩართულობის შესაძლებლობას.

აცნობიერების მიზნები:

- ახვითი და საშემსრულებლო ხელოვნება, როგორც ექსპრესიული მედია, შეიძლება გახდეს სოციალური მოძრაობების საწყისი წერტილი.
- ვთენტური სოციალური და პოლიტიკური საკითხების მოგვარება შეუძლიათ ახალგაზრდებს, როცა ისინი მოქმედებენ პატიოსნებით, სოლიდარობითა და კრეატიულობით.

ნიშვნელოვანი კითხვები:

- ოგორ შეიძლება ხელოვნება გამოხატავდეს წინა გაკვეთილებზე განხილულ უთანასწორობებს?
- რის თუ არა მხატვრული მედია უნიკალურად გამოსადეგი სოციალური სამართლიანობის მისაღწევად?
- ა უპირატესობები/შეზღუდვები აქვს თითოეულ მედიას (ხატვა, სიმღერა...) სოციალური სამართლიანობის მისაღწევად?
- ოგორ შეიძლება ხელოვნებამ ჩამოაყალიბოს კულტურა და საზოგადოება?

წავლების მიზნები (მოსწავლეები შეიძლება):



- რიგინალური ხელოვნების ნიმუშის შექმნას, რომელიც ასახავს მათ პირად სწავლებას პირველი სამი გაკვეთილის განმავლობაში.
- იღებულ მხატვრული გადაწყვეტილებების წერითი ან სიტყვიერი რეფლექსიით განმარტებას.

შეფასება: ხელოვნების ნიმუშის პრეზენტაცია; წერითი ან სიტყვიერი რეფლექსია

ქტივობათა თანმიმდევრობა:

- **იტერატურასთან კავშირი და თავისუფალი წერა (5-7 წუთი):** მოსწავლეები დაწერენ პირველი 2 გაკვეთილის განმავლობაში თავიანთი აზროვნების განვითარების შესახებ. ათ უნდა განიხილონ 5 ციტატა, რომლებიც მესამე გაკვეთილზე მოიძიეს და ასევე ნებისმიერი მათთვის საინტერესო სხვა ციტატა, რომელიც მოისმინეს თანაკლასელისგან. ათ ასევე უნდა იმსჯელონ ამ ციტატების შესაბამისობაზე თავიანთ ცხოვრებასა და საზოგადოებასთან.
- **ხელოვნების ნიმუშის შექმნა (20-60 წუთი):** მოსწავლეებმა განკუთვნილი დროის უმეტესობა უნდა გამოიყენონ თავიანთი ხელოვნების ნიმუშის შექმნისთვის, რომლითაც ისინი შეეჭიდებიან ერთ ან მეტ კითხვას შემდეგი ჩამონათვალიდან:
 - ა უთანასწორობებს გადააწყდნენ ქალები, განსაკუთრებით ჩვენს თემში, ისტორიის განმავლობაში და თანამედროვეობაში?
 - ოგორ რეაგირებდა ჩვენი თემი ამ უთანასწორობებზე ისტორიის განმავლობაში?
 - რის თუ არა რაიმე გზა, რომ მხატვრულად წარმოვაჩინოთ ის ძირითადი სოციალური და ისტორიული ძალები, რომლებმაც განაპირობა ქალთა უფლებების მოძრაობების აღმავლობა?
 - უ მოსწავლეები ქმნიან ნახატს, კოლაჟს ან ვიზუალური ხელოვნების სხვა ნიმუშს, სასურველია, რომ მასწავლებელმა შეზღუდოს მოსწავლეები წინასწარ განსაზღვრული მხატვრული საშუალებით სხვა ინსტრუქტორთან (მუსიკის, ხელოვნების ინსტრუქტორი...) თანამშრომლობის შესაძლებლობის შესაბამისად.
 - ემოთავაზებული მედია:
 - კოლაჟი მოსწავლის საკუთარი ცხოვრების ან ადგილობრივი გაზეთის, ვებ-გვერდის და ა.შ. ფოტოებით.
 - ერწერის ნებისმიერი ფორმა, შესაძლოა ფორმალური შეზღუდვებით (მხოლოდ 2 ფერის გამოყენება და სხვ.)
 - ოტოგრაფია, პოეზია, თხრობა, სიმღერის წერა
 - **აბოლოო რეფლექსია (20 წუთი):** ხელოვნების ნიმუშის ფორმატზე დაყრდნობით, მოსწავლეებმა ან უნდა დაწერონ პასუხი ზემოთ ჩამოთვლილი 3 კითხვიდან ერთ-ერთზე ან



Global Schools Program

სიტყვიერად წარუდგინონ თავიანთი ნამუშევარი მთლიან კლასს. უ პროექტები საკმარისად დიდია (ან მათ შესაქმნელად ერთ გაკვეთილზე მეტი დრო დაიხარჯა) მასწავლებელმა უნდა განიხილოს ცალკე ღონისძიების ჩატარება, რომელზედაც მონვეულნი იქნებიან თემის სხვა წევრები (მასწავლებლები, ადმინისტრატორები, მშობლები) მოსწავლეთა ნამუშევრების დასათვალისწინებლად.



მე-9 კლასი, გაკვეთილი 5 “ როექტის იმპლემენტაცია”

როის ხანგრძლივობა: 120-180 წუთი

თემები: ლიტერატურა, ხელოვნება, სოციალური სწავლებები

სტანდარტები: გენდერული თანასწორობა და ქალებისა და გოგონების გაძლიერება (მიზანი 5);
შემცირებული უთანასწორობები (მიზანი 10); მშვიდობა, სამართლიანობა და ძლიერი ინსტიტუციები (მიზანი 16)

შეიმუშავა: Chihiro Yoshida

ეჯამება და დასაბუთება: მოსწავლეები ფართო საზოგადოებას გაუზიარებენ მეოთხე გაკვეთილზე მათ მიერ შექმნილ ხელოვნების ნიმუშებს საჯარო სივრცეში და წარმართვენ დისკუსიას გენდერული უთანასწორობის თემებზე, რომლებიც შესაძლოა არსებობდეს მათს საზოგადოებაში.

ასწავლო მიზანი: მოსწავლეები წარუდგენენ და გაუზიარებენ თავიანთ ნამუშევარს ფართო საზოგადოებას, ივარჯიშებენ საჯარო გამოსვლის უნარებზე და ისწავლიან საზოგადოების სხვა წევრების ჩართვას სოციალური საკითხების განხილვაში.

აცნობიერების მიზნები:

- ახვითი და საშემსრულებლო ხელოვნება, როგორც ექსპრესიული მედია, შეიძლება გახდეს სოციალური მოძრაობების საწყისი წერტილი.
- ვთენტური სოციალური და პოლიტიკური საკითხების მოგვარება შეუძლიათ ახალგაზრდებს, როცა ისინი მოქმედებენ პატიოსნებით, სოლიდარობითა და კრეატიულობით.
- აზოგადოების წევრებთან დიალოგში ჩართვა შეიძლება იყოს მოქმედების წარმართველი ძალა.

ნიშვნელოვანი კითხვები:

- ოგორ შეუძლია ახალგაზრდობას ეჭვქვეშ დააყენოს სოციალური და გენდერული უთანასწორობის უკვე არსებული ცნებები?
- ოგორ შეიძლება ხელოვნება გამოყენებულ იქნას, როგორც ფართო საზოგადოების შთაგონებისა და სოციალურ საკითხებზე დისკუსიაში ჩართვის საშუალება?
- ინ არიან დაინტერესებული მხარეები ადგილობრივი თემიდან, რომლებიც უნდა იყვნენ ჩართულნი დიალოგში ფართო ქმედებების წამოწყების მიზნით?

წავლების მიზნები (მოსწავლეები შეიძლება):

- იდი აუდიტორიის წინაშე საუბრის ვარჯიში და სწავლა.
- ენდერულ საკითხებზე დიალოგის წარმართვა სხვადასხვა დაინტერესებულ მხარეებთან.



ქტივობათა თანმიმდევრობა:

- **ბრენსტორმინგი (60 წუთი):** მოსწავლეები მუშაობენ წყვილებში ან მცირე ჯგუფებში მათ მიერ შექმნილი ხელოვნების ნიმუშებზე რეფლექსიის მიზნით და განიხილავენ, თუ ყველაზე ეფექტურად როგორ შეიძლება ამ ნამუშევრის წარდგენა საზოგადოების წევრებისთვის. ათ შეიძლება აირჩიონ:
 - ღწერიითი სახის წერილობითი განცხადების დამატება ნამუშევრის ასახსნელად;
 - ოკლე მხატვრული წარმოდგენის დადგმა ნამუშევრის საჩვენებლად;
 - ამუშევრის ახნა დამთვალეიერებლებისთვის მათთან დიალოგის საშუალებით.
- **პრეზენტაცია (20 წუთი):** ნამუშევრის წარდგენა მოხდება საჯარო ღონისძიებაზე საჯარო ბიბლიოთეკაში, საზოგადოებრივ ორგანიზაციაში, პარკში ან სხვა ისეთ ადგილას, სადაც შესაძლებელია ბევრი ხალხის დაინტერესება და მიზიდვა. კოლა და მასწავლებლები ითანამშრომლებენ ადგილობრივ ინსტიტუციებთან ღონისძიების დაგეგმვის და ორგანიზების მიზნით, მოსწავლეები კი დამთვალეიერებლებს წარუდგენენ თავიანთ ნამუშევრებს.
- **დისკუსია (40 წუთი):** მოსწავლეები და საზოგადოების წევრები დაიყოფიან მცირე ჯგუფებად, რათა ჩაერთონ მოსწავლეების მიერ წარმართულ დიალოგში ნამუშევრისა და ამ ნამუშევრით გამოხატულ გენდერული უთანასწორობის საკითხებთან დაკავშირებით. ზოგიერთი შესაძლო კითხვა:
 - ა ემოციები აღძრა ნამუშევარმა თქვენში?
 - თანხმებით თუ არა ნამუშევარში ჩადებულ გზავნილს?
 - ოგორ შეიძლება ზოგიერთი ხმა გამოტოვებული იყოს დისკუსიაში?
 - ოგორ შეუძლია საზოგადოებას უკეთესად გაუმკლავდეს ამ გენდერულ საკითხებს?
 - ოგორ ფიქრობთ, რა შეიძლება იყოს თქვენი როლი ამ მცდელობაში?
- **რეფლექსია (15 წუთი):** მოსწავლეები ბრუნდებიან საკლასო ოთახში, რათა განიხილონ თავიანთი დიალოგები საზოგადოების წევრებთან და იმსჯელონ, თუ როგორ შეუძლიათ ინიციატივის წინ წაწევა. ათ ასევე შეუძლიათ ინდივიდუალური რეფლექსიის დაწერა დღიურებში.

ესურსები მასწავლებლებისთვის:

- აეროს ქალთა ორგანიზაცია (ახალგაზრდების მიერ გენდერული თანასწორობის ხელშეწყობა): <http://tiny.cc/G9L5R1>
- ზამკვლევი ახალგაზრდებისთვის, რომ გახდნენ გენდერული თანასწორობის დამცველები და ელჩები: <http://tiny.cc/G9L5R2>
- ამოქალაქო ჩართულობა სხვადასხვა კონტექსტში: <http://tiny.cc/G9L5R3>